



ქრისტესა და სახარების ქადაგება – ეს არის ის, რასაც მე სიცოცხლე მივუძღვენი

ქრისტესა და სახარების ქადაგება – ეს არის ის, რასაც მე სიცოცხლე მივუძღვენი

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა და მთელი რიგი წიგნების ავტორმა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, რომელსაც 2020 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა, „რია-ნოვოსტს“ განუცხდა, რომ თავისი სიცოცხლე, „მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით“, ქრისტესა და ქრისტიანობის სულიერ-ზნეობრივი იდეალების ქადაგებას მიუძღვნა. „ქრისტესა და სახარების ქადაგება, ქრისტიანობის მაღალი სულიერ-ზნეობრივი იდეალების დამონმება – ეს არის ის, რასაც მე სიცოცხლე მივუძღვენი. ამ ქადაგებას ვახორციელებ ყველა ჩემთვის ხელმისაწვდომი გზით – ეკლესიის ამბიონიდან, წიგნების, სტატიების, დოკუმენტური ფილმების, მუსიკის, ინტერნეტში ვიდეორგოლების მეშვეობით, პედაგოგიური მოღვაწეობით“, – უთხრა „რია-ნოვოსტს“ მიტროპოლიტმა ილარიონმა სახელმწიფო პრემიის მინიჭების კომენტარებისას.

პასუხად კითხვაზე, თავის რომელ ლიტერატურულ ნაწარმოებს მიიჩნევს უმთავრესად, მიტროპოლიტმა ილარიონმა დაასახელა ექვსტომეული კვლევა სახელწოდებით „იესო ქრისტე. ცხოვრება და მოძღვრება“, რომელზეც ხუთი წელი იმუშავა. „შემდეგ გავაკეთე შემოკლებული, ერთტომეული სერიისათვის „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“, – აღნიშნა სააგენტოს თანამოსაუბრემ.

„იესო ქრისტე მინდოდა მეჩვენებინა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ცოცხალი ადამიანი, რომელსაც ახასიათებდა ადამიანური გრძნობებისა და განცდების სრული გამა – მწუხარება, სიხარული, მრისხანება, დაღლილობა, გაკვირვება. იმავდროულად ის იყო განხორციელებული ღმერთი, და მისი თითოეული ადამიანური სიტყვა და მოქმედება განმსჭვალული იყო ღვთაებრივი მოქმედებით. საკუთრივ, მთელ მის მინიერ ისტორიას აზრი აქვს მხოლოდ იმის რწმენის პირობებში, რომ იგი არა უბრალო ადამიანი, არამედ განხორციელებული ღმერთი იყო“, – ხაზგასმით აღნიშნა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მიტროპოლიტის მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის ყველაზე მეტად სახელი გაითქვა ორატორიამ „ვნებები მათეს მიხედვით“. „ის 150-ზე მეტჯერ შესრულდა რუსეთსა და უცხოეთში. მე მასშიც ქრისტეს შესახებ ვსაუბრობ, მაგრამ არა სიტყვებით, არამედ მუსიკის საშუალებით. არსებობს ისეთი რამ, რისი გადმოცემაც სიტყვებით საერთოდ შეუძლებელია. მუსიკა კი ყველასთვის გასაგები უნივერსალური ენაა. ის არა მარტო აზრებს გადმოსცემს, არამედ გრძნობებსაც, განცდებსაც“, – განმარტა მღვდელთმთავარმა.

მიტროპოლიტმა ილარიონმა შენიშნა, რომ ის „არ არის პირველი მღვდელმსახური, ვისაც სახელმწიფო

პრემია მიენიჭა“. „სულ ცოტა სამი პრეცედენტია ჩემთვის ცნობილი. ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თავის დროზე პრემია მიიღო გამოჩენილმა ხატმწერმა, ხატწერის თანამედროვე სკოლის დამფუძნებელმა არქიმანდრიტმა ზენონმა. ჰუმანიტარული მოღვაწეობის დარგში მიღწევებისათვის პრემია მიღებული აქვს მარადსახსენებლ უნმინდეს პატრიარქ ალექსის. ასეთივე პრემია აქვს მინიჭებული პირველი საბავშვო ჰოსპისის [თავშესაფრის ტიპი] დამაარსებელს დეკანოზ ალექსანდრე ტკაჩენკოს“, – გაიხსენა სააგენტოს თანამოსაუბრემ.

რია-ნოვოსტი

ესაუბრა ოლგა ლიპიჩი

გაზიარება:

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87699/>